



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA. TELAVI MUNICIPALITY COUNCIL

2200, ქ.თელავი, ერეკლე II გამზ. # 16 tel: 0(350)273900  
16 Erekle II str. 2200, Telavi, Georgia Tel: 0(350)273900,  
E-mail:telavimunicipalitycouncil@gmail.com

N 215  
10/12/2019

215-09-2-201912101347



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს ინფორმაციის

თავისუფლების შესახებ დებულების შესრულების თაობაზე

2019 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 17 განცხადება, აქედან 07 განცხადება შემოსულია საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, ხოლო 10 განცხადება შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე.

განცხადებები შემოსულია:

- |  |                 |
|--|-----------------|
| 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო              | - 1 განცხადება; |
| 2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი         | - 1 განცხადება; |
| 3. მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი  | - 2 განცხადება; |
| 4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო          | - 1 განცხადება; |
| 5. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“       | - 6 განცხადება; |
| 6. საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი | - 1 განცხადება; |
| 7. შპს „კახეთის ხმა“                             | - 1 განცხადება; |
| 8. მოქალაქეები                                   | - 4 განცხადება. |

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული არ არის.

შემოსულ მოთხოვნებზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტიც არ მომხდარა.

შემოსული 17 განცხადებიდან 17-ვე განცხადებაზე გაიცა მოთხოვნილი ინფორმაცია. შესაბამისად მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე 7 გადაწყვეტილება მიღებულია საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, ხოლო 10 გადაწყვეტილება საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

განმცხადებლების მიერ მოთხოვნილია:

- საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმები;
- საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომების ოქმები;
- საკრებულოს ბიუროს, კომისიების, ფრაქციების, დროებითი სამუშაო ჯგუფების შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილე მოქალაქეთა რეგისტრაციის წესის შესახებ ინფორმაცია;
- თანამდებობის პირთა მივლინებების შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურებაზე და საწვავზე დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოში რეგისტრირებულ პეტიციათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;

2019 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” მოთხოვნების დარღვევებისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოებს საჯარო რეესტრის ჟურნალი. ჟურნალში საჯარო ინფორმაციას აღრიცხავს საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილება მისი მიღებისთანავე.

არჩილ თხლამიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

